№ 174

სამშაბათი, 15 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 174

სამშაბათი, 15 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 აგვისტოს.

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსა ცდელი წარმოდგენე ი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

ქ. ქუთაისში კ. ს. ქორქაშვილის პირველ დაწყებითს სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან ყოველ დღე 25 აგვისტოდამ. სწავლის ფასად დანიშნულია თვითო მოსწავლეზედ თვეში 4 მან. (5—1763—2)

**ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა** თანახმად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის დადგინებისა ამა წლის 5 ივლისსა, № 25-ით, ამით აცხადებს, რომ ამ მომავალ სამოსწავლო 1895—96 წელს მოწაფენი სემინარიისა მიღებიან თავისს ხარჯზედ პანსიონში საცხოვრებლად მხოლოდ სრულის ხარჯით (მარტო სასმელ საჭმელითა და საცხოვრებელ ბინით კი არა, არამედ ტანისამოსითა და საცვალით), რაშიც წლიურად თითოეული გადიხდის 140 მან., რომელიც უნდა ასე იქმნას წარდგენილი სამ ვადაზედ: 1-ლ სექტემბერს—50 მან-, 10 იანვარს—50 მან. და აღდგომის პირველ კვირას დანარჩენი 40 მან. (3—6—1).

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 14 აგვისტოს, რუსეთის ფოსტა არ ჩამოსულა თავისს დროზე და არ მიგვიღია რუსეთის გაზეთები.

*** დღეს, 15 აგვისტოს, გამგეობა კავკასიის რკინის გზისა, რომელიც დღემდის მიხეილის ქუჩაზედ იმყოფებოდა, სრულიად გადავიდა ახალს შენობაში ელისაბედის ქუჩაზედ. ამიტომ დღეს აქ პარაკლისი იქნება გადახდილი და დაიწყება კიდეც საქმის წარმოება; ხოლო ტელეგრაფის ნაწილი, რომელიც დღემდის გამგეობასთან იყო შეერთებული, შეუერთდა ვოკზალს.

*** 22 ამ თვეს სახაზინო თეატრში არტისტი ბიაზი გაჰმართავს გამოსათხოვარ წარმოდგენას. ეს არტისტი თხუთმეტი წელიწადია ტფილისის სცენას და ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვა-და-სხვა ხასიათის როლები შეუსრულებია და უსიამოვნებია მსმენელნი. ბიაზის ყველა ტფილისელი იცნობს, რუსობაც, ქართველობაც და სომხობაც—ამისათვის, ჩვენ გვგონია, იმის უკანასკნელს წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრება. წარმოდგენილი იქნება სრულიად ახალი პიესა სახელდობრ „ნევის პროსპექტიდგან გოლოვინის პროსპექტამდე!“

*** გუშინ, 14 ამ თვეს, კავკასიის სამხედრო გზით, ნაშუადღევის 4 საათზედ ტფილისში ჩამოვიდა ბუხარის ემირი, რომელსაც 28 კაცამდე ამალა ახლავს. ემირი დაბინავდა გუბერნატორის სადგომში და დარჩება ტფილისში ორ კვირამდე, რადგან აქაურის აბანოებით ჰსურს ისარგებლოს.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოვიხსენიეთ, რომ რამ დენიმე ყმაწვილმა კაცმა ქალი მოიტაცეს დუშეთის მაზრაში და ჩხუბის დროს ერთი კაცი შემოაკვდათ, რამდენიმე დასჭრეს და თითონ მომტაცებლები-კი პოლიციის მოხელეთ ვითომ დაეტუსაღებინოთ. ჩვენ ამ ამბის მოხსენებაში შეცდომაში შეგვიყვანეს აქაურ რუსულმა გაზეთებმა; ახლა-კი ნამდვილად შევიტყეთ, რომ მკვლელობა არავითარი არ ყოფილა მხოლოდ სამი კაცია დაჭრილი. პოლიციასაც ჯერ არავინ არ შეუპყრია.

*** მალე ტფილისის ერთ-ერთ სასამართლოში განირჩევა ფრიად საინტერესო პროცესი ყალბი ფულების მჭრელებისა. ეს ყალბი მჭრელები სულ არიან, თითქმის ასამდის. იმათში ურევია ერთი არხიმანდრიტი და რამდენიმე ტერ-ტერ. ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად უშიშრად და თავისუფლად სჭრიდნენ ფულს ერთ ერთ ეჩმიაძინის მონასტრის სარდაფში, სადაც საუკეთესო მოწყობილება, მაშინები, მასალები ჰქონიათ შეკრებილი. ამბობენ, რომ უთვალავი ყალბი ფული გამოსულა ამ სარდაფიდამ.

*** წარსულს კვირას, 13 ამ თვეს, მადათოვის კუნძულზედ ივანე ფილიაშვილის ღვინის სარდაფში მოხდა კაცის კვლა. შუადღის შემდეგ ექვსი ხუთიოდ ექვსიოდე ქალაქის კინტო-ჯიბგირი ჩასულიყო ხსენებულს სარდაფში და ქეიფი გაემართათ. კარგა რომ შეზარხოშებულიყვნენ, ფულის თაობაზედ ლაპარაკი მოსვლოდათ. რასაკვირველია ლაპარაკს ყვირილი და ერთიჟაურზაური მოჰყოლოდა. ამ ყვირილის დროს ერთს ამ ჯიბგირთაგანს ივანე დემიროვს ჩაეყო თავისსავე ამხანაგისათვის გოლა სირიბეგოვისთვის ჯიბეში ხელი და ფულს აცლიდა თურმე. გოლა სირიბეგოვს შეემჩნია თუ არა, რამდენჯერმე გულში და სახეში დაეკრა დემიროვისათვის დანა და იქვე ცოცხალ-მკვდარი მიეგდო. მკვლელობაზედ ხალხი შექუჩდა, სარდაფი და სარდაფ-წინ ეზო გატენილი იყო, მაგრამ პოლიციელი მაინც არსადა ჩანდა, თუმცა ბევრი ეძებეს. ბოლოს როგორც იყო ერთი პოლიციელი გაჩნდა და მკვლელი პოლიციაში წაიყვანა. დაჭრილი კაცი-კი ერთი საათი მეტი ეგდო; მთლად დაიცალა სისხლისაგან, ვიდრე მეორე პოლიციელი მოვიდოდა და მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანდა. დაჭრილი უკვე გარდაცვალა.

*** მთელი ტფილისი ლაპარაკობს ერთ მდიდარ ტფილელის ბოროტებაზედ. გაზ. „კავკაზში“, კიდევაც იყო მოხსენებული ეს ამბავი გაკვრით. აი საქმე რაშია. ამ ვაჭარტონისათვის მამას დაუტოვებია ურიცხვი ქონება. ამბობენ, ამ ქონებამ იმდენად აურია გზა და კვალი ამ ვაჟბატონს, რომ ველარ შესძლო თავის შემაგრება და სრულიად გარყვნილების მორევში შეატოპინა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გამომძიებელს ხელში ჩაუვარდა ამ ვაჟბატონისა და ერთის 12 წლის ქალის საქმე, გამომძიებელმა უსუსტა და საქმე მოსპო. ცოტა ხნის შემდეგ აქმემ ისევ ამოჰყო თავი, რადგან უფროსების ბრძანებით მეორე გამომძიებელს გადაეცა ყოველივე საბუთები და ახლა მთელი ტფილისი გაფაცებით მოელის რით გათავდება ყველაფერი ეს.

*** „ნოვ. ობოზ.“-ის სწერენ ლალაშიდგან, რომ იქ ამ დღეებში მიელიან გრაფინა უვაროვისას, რომელიც აპირებს წელს სვანეთში მოგზაურობას საარხეოლოგო გამოკვლევისათვის.

*** ამ წლიდგან ტფილისის სასულიერო სემინარიაში თავისს ხარჯზედ მცხოვრებლებად მიიღებიან მოწაფეები ისე, რომ მიეცემათ სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, საცვალი და წელიწადში 140 მან. გადიხდიან.

*** 13 აგვისტოს კისლოვოდსკიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი. მთავარ-მართებელს თან ჩამოჰყვა დირექტორი კანცელარიისა დ. ს. ს. მიცკევიჩი.

*** რედაქციამ მიიღო „ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ გამოცემული წიგნი „ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები“. გამოცემა მეხუთე. წიგნი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ, ჩართული აქვს თავში ბიოგრაფიული ცნობები ჩვენის პოეტის შესახებ, შეიცავს 122 გვერდს, კარგად მოზრდილის ფორმატისაა და ღირს ორი აბაზი.

*** ქ. სოხუმი: ამ დღეებში სოხუმის საზოგადოებამ მოიწვია ქალაქის არხიტექტორათ (ინჟენერი) ხელ-ახლა სწავლა-დამთავრებული სვიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი ბ-ნ პ. ნ. ხოვანსკის მაგიერ ად.

*** სოფ. ჭვრივი, (გორის მაზ. რა): 9 აგვისტოს აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ქუჯა კოკოშვილმა თავი მოსჭრა ლუარსაბ ქოჩაშვილს (იგივე კოკოშვილი). დავა ჰქონიათ მამულზედ; სოფლის მოხელეებს ხარი წაურთმევიათ ქუჯასთვის და მიუციათ ლუარ-

## ფელეტონი

### სიმღერა.

სოფლისა წესი ასეა:  
ჩვენ წავალთ, სხვანი რჩებიან;  
მკვდრების მაგივრად მალედვე  
მეორეები ჩნდებიან.  
სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,  
ეს მიტომ დასდვა წესადა;  
სიკვდილი გაუჩენია  
მას თავის გასაკვებადა;  
იმიტომა სძულს უძლური,  
ვით ტანთსაცმელი ძველია;  
რომ უყვარს ნორჩი, ახალი —  
მით დაიმშვენოს წელია.  
დავიხოცებით, სიყვარულს  
საკუთარს, ნადებს გულადა  
ვკარგავთ პირადად და ვფიქრობთ  
საქვეყნოდ დაკარგულადა.  
მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს,  
ის ისევ რჩება ცხოვლადა,  
დაფრინავს, როგორც ფარვანა,  
საამო, კარგი ყოვლადა.  
გულის ძგერა აქვს სამეფოდ  
ვნებათ ღელვა ჰყავს მშობლადა;  
ცოცხლებს უძგერებს კვლავ გულსა,  
შიგ ია-ვარდის მრგველია,  
იმისგან ჰყვირის ირემი,  
მისით დაფრინავს შველია;  
მისგანა გალობს ბულბული,  
მისგნითვე მწვანობს ველია;  
იმისგან ხარობს ბუნება—  
უკანასკნელი მწერია...  
ზღვაში ილუპვის ჭაბუკი  
თავისს სატრფოსთვის ხელია.  
დიდება ქვეყნის შემომქმედს,  
რა კარგად დაუწერია!..

ვაჟა-ფშაველა.

### პატიოსნება

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

მომქმედნი:

მიულინგი—ქარხნის პატრონი.  
ამალია—მისი მეუღლე.  
ლეონორა—ამათი ქალიშვილი.  
კურტი—ამათი ვაჟიშვილი.  
ლოტარ ბრანდტი.  
გუგო შტენგელი.  
გრაფი ფონ-ტრასტ-ზოარბერგი.  
ხეინეკე — მამა.  
ხეინეკე—დედა.  
რობერტი, ალმა, ავგუსტა } ამათი შვილები.  
მიხალსკი, ავგუსტას ქმარი.  
გებენსტრეიტი, მებაღის ცოლი; ვილჰელმი, მსახური; იოჰანნი—მეეტლე } მიულინგის მოსამსახურენი.  
მსახური გრაფ ტრასტისა, ინდოელი.

მოქმედება სწარმოებს მიულინგის ქარხანაში, შარლეტენბურგს, ბერლინს ახლოს, ჩვენს დროში.

ავტორის შენიშვნა:

მიულინგი. გულ-ციკი კაცია, საქმიანი, გამჭრიახე, თავისაკენ წამთლელი, ხოლო ბოროტი და ავაზაკი-კი არა. თითონ თავისს თავს გულ-ჩკილ, დიდად სასიამოვნო ადამიანადა სთვლის და უყვარს, როდესაც სხვებიც ამგვარადა სთვლიან.

ამალია. ძარღვებ-მოშლილი და მოდუნებული მანდილოსანია და აღელვება და აშფოთება ადვილად იცის. სცდილობს დაანახვოს ყველას, რომ ჩემის ქმრის წარმოებაში მე შევიტანე თანხა და თუ საქმე ასე კარგად მიდის, ჩემის წყალობით მიდისო.

ლეონორა. ჭკვიანი, სადა და კეთილი ყმაწვილი ქალია, მაგრამ თავისის ძმის მეგობრებთან-კი თავი ამაყად უჭირავს და კეთილშობილებას იჩენს.

კურტი. წარმომადგენელი ქარაფშუტა და გუდაფშუტა ყმაწვილ-კაცებისა, მაგრამ ბოროტი-კი არ არის. მეოთხე მოქმედებაში იმ სცენის დროსაც-კი, როდესაც ქურდობასა სწამებს სხვას, უფრო წუთიერს განრისხებას იჩენს, ვიდრე გულ-ღვარძლიანობასა და ავ-კაცობას.

ლოტარ ბრანდტი. თავისი თავი დიდი ენა-მახვილი ჰგონია, გარეგნობას დიდად აფასებს, წესისა და ჩვეულების თაყვანის-მცემელია, ერთსა და იმავე დროს სტუდენტობაც უნდა გამოიჩინოს, სამხედრო სამსახურში ნამყოფობაც.

გუგო შტენგელი. გუდაფშუტა და თავ-ქარიანი ყმაწვილი კაცია.

რობერტ ხეინეკე. პირველს მოქმედებაში ჯერ დიდი გულ-უბრყვილობა ემჩნევა, მეტად გულ-დანდობილია, მაგრამ თან-და-თან ეჭვიანი ხდება, გუმანი ეპარება გულში. მესამე მოქმედებაში მეტის-მეტად არ უნდა გადააჭარბოს გრძნობიერების გამოჩენას. მეოთხე მოქმედებაში რობერტი გულ-ჩახურულია და ჩათხრობილია, მოღუშული, გაბოროტებული და სასიკვდილოდაც არავის დაირიდებს, ისეა გამძვინვარებული.

ხეინეკე. ბუზღუნა მოხუცებულია და ხშირი ჩახითხითება იცის.

ხეინეკე. გულ-კეთილი, ცოტა გონებული და სულელი მოხუცი დედაკაცია. რობერტის ორივე მშობლები თუ ცუდად და არა საკადრისად იქცევიან არა იმიტომ, რომ ბუნებითვე იყვნენ ზნეობა წამხდარნი, ამისი მიზეზი ის არის, რომ მთელი თავისი სიცოცხლე სიღარიბეში გაუტარებიათ.

ალმა. უგუნური ქალია, რომელსაც არ ესმის, რა მდგომარეობაშიაც

საბისათვის; ამაზედ ქუჯას ჯავრი მოსვლია, დასდევნებია უკან და თავი-კი მოუგდებინებია. მკვლელი დაიჭირეს და ცხინვალში ჩამოიყვანეს.

*** ს. დიდი-ჯიხაიში: ექვს აგვისტოს ჩვენში ჩამოვიდა სამინისტროს სასწავლებლის ინსპექტორი სავიჩი. სავიჩმა ჩამოიტანა თან სასწავლებლის გეგმა და საზოგადოებას დაეკითხა, რა გვარი სკოლა გსურთ თქვენ დასაარსებლადაო და ან რა შემწეობა შეგიძლიანთ აღმოუჩინოთო. საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით სხვადა-სხვა მიზეზისა გამო პასუხი ვერ მისცა, როგორც პირველსა, ისე მეორე კითხვაზედ.

საზოგადოებას უფრო ჰსურს, რომ სასოფლო სამეურნეო სკოლა იქმნას გახსნილი; ამისთანა სკოლა მართლაც რომ დიდად ესაჭიროება. ამ სახის სკოლას ხელს უწყობს ჩვენი სოფლის ჰავაც და მდებიარეობაც.

*** დ. ყვირილა: 13 აგვისტოს დ. ყვირილაში გაიხსნა წიგნის მაღაზია. მაღაზიაში მოიპოვება როგორც პერიოდული, აგრეთვე ცალკე გამოცემანი, მაგრამ ამ საწყალ დაბაში არ ილევა იმისთანა ხალხი, რომელსაც წერა-კითხვა არაფრათ არ მიაჩნიათ და არც არაფერ სარგებლობას მოელიან იქიდგან. ესენი თამამად გაიძახიან: „მამა ჩემი არ ყოფილა ნასწავლი და პაპა ჩემიო და მე რა მიჭირს უსწავლელი რომ დავრჩეო. ვაჭრობა კაი ვიცი, ფულს ბევრს მოვიგებ და ბედნიერებაც ამაში მდგომარეობსო...—ასე წარმოიდგინეთ, ხშირათ ისინი კიდეც დასცინიან მკითხველებს, რომელნიც თითქმის ყოველ საღამოს გროვდებიან მაღაზიის წინ და მოუთმენლათ ელიან ტფილისიდგან მატარებელს, რომელსაც მოაქვს ჟურნალ-გაზეთები.

ნეტა, ეს ვაჭბატონები თვისი ენით სხვასაც არ უკარგავდნენ წერა-კითხვის ხალისს, თორემ მათს რეგვენობას აღარ ვიჩივლებდით.

---

## საამდლეო სხარტულა.

(არეული)

შემაწუხა: სიცხემ, მოწყენამ, მევალეებმა და უფულობამ... ღმერთმან კარგი მოგცეს—კარგი მდგომარეობა ეს იყოს! ჩამიწყვია ხელი პოლკოვნიკივით ჯიბეებში, ავფხორვილვარ მამალი-ინდოურივით და პარაოზივით ვსტვენ და დავდივარ, დავდივარ და ვსტვენ... ცა ქუდათ არ მიმაჩნია და დედა-მიწა ქალამნადა! იარე და იარე ამ შუა ღამემდის; მე მოგახსენებ ქურდებისა, ავაზაკების შემეშინდება: მამა უცხონდათ ჩემგან წალებულით „საურთიერთო, სამეურნეო ნდობის საზოგადოება არ დაარსონ!..

ჰო, იმას ვამბობდი,—შემაწუხა სიცხემ და სტვენით გამოველი სასეირნოდ. ფიქრებმა გამიტაცეს; ცხოვრება ხან დავსწყევლე და შევაჩვენე, ხან ისევ შევურიგდი; ხან სიმდიდრეში დავსახე ბედნიერება, ხან-სილატაკეში; ხან რა ვინატრე, ხან რა. ხან სოციალისტათ დავსახე თავი, ხან ანარხისტათ, ხან კოსმოპოლიტად; ხან მონარქია მინდოდა, ხან რესპუბლიკა, ხან ანარქია, ხან კომუნა; მერე ეს უკანასკნელი უფრო ხშირად: ვიფიქრე, თუ კომუნა იქმნა—მოგეცა ღვთის წყალობა ვანდერბილის მილიონები მე ჯიბეში ჩავიჩხრიალო-თქო... მომწყინდა ეს „ფანტაზიაობაც“ და ვინატრე: ნეტავი ახლა, ასე ხელად, ერთი ათასი თუმანი მაპოვნინა-მეთქი! ვერ მოვასწარი ამისი ნატვრა და, დასწყევლოს ღმერთმან, ფულის ქისა ვნახე!.. გულმა სულ ბრაგა-ბრუგი დამიწყო და ვერხვის ფოთოლივით ავთრთოლდი... ბოლოს, როგორც იყო, გული გავიმაგრე, პირჯვარი გადავიწერე, დავავლე ხელი ქისას, ამოვეფარე გორას და გავხსენი... გავხსენი, მარა არ გაგიწყრეს ღმერთი. როგორც მანთალა ურიის თახჩაში ცხონება არ არის, ისე იქ გროში-კაპეიკი არ მოიძევებოდა, გარდა ქაღალდისა... გული მომივიდა, ჯერ მინდოდა გადამეგდო წყალში ქისაც და ქაღალდიც გულ მოსულს, მაგრამ ვიფიქრე — იქნება რომელისამე მოციქულის მოძღვრება იყოს-მეთქი და თავი დავანებე განზრახვას... და აი, ახლა ვსტამბავ, რომ ამ გზით პატრონმა ჩაიგდოს ხელში ეს დიდებული განძი და სხვას არ მიათვისოს იგი...

ჩემი ბიოგრაფია.

სახელი ჩემი—მელა, მამის—მურა, გვარი—ქრთამაძე; დიაღ, მელა მურიძე ქრთამაძე!.. საკვირველად შეზავებული ადამიანი ვარ: მხეცი, ძაღლი და ადამიანი!.. პირველი შემთხვევაა ეს შემთხვევა და ამისათვის, როგორც გარეგვნებული ბებია-ჩემი ზეხათენი მეტყოდა ხოლმე, პირველი კაცი უნდა გავხდე ქვეყნაზედ.. ნურც ძალიან გაგიკვირდება, ძვირფასო მკითხველო, ეს ჩემი სამგვარობა—ახლავე გიამბობ როგორ მოხდა ეს: მამა-ჩემი მურა მისათვის იწოდებოდა მურად, რომ როგორც ქოფაკი ძაღლი სულ სხვის კარად ეგდო ლუკმა პურის მოსაპოვებლად და ძაღლივით ჰღრინავდა. მე მელა მისთვის მიწოდეს, რომ სხვის საქათმეში მივიპარებოდი, გამოვთხრიდი ძირს და რომელიც თქვენ მოსაწონად ჩასუქებული იხვი, ბატი, ანუ დედალი იქნებოდა, მივუცუნცულებდი ზეხათენს; ქრთამაძე დამარქვეს მისათვის, რომ დედაჩემმა—სიკლიკიტემ სიზმარი ნახა ერთხელ ჩემს შესახებ, უამბო ბებია-ჩემს და იმ უბედურმაც ქრთამაძე დამარქვა; როგორც ახლა ვუკვირდები ჩემს ცხოვრებას—ეს გვარი ჩემზედ ნამდვილად გამოჭრილია!.. ნურც ის გაგიკვირდება, რომ გვარი ბებია-ჩემმა მომცა. დაბადების დროს უგვაროც და უსახელოც ვიყავი. ღვთის წინაშე, მიუხედავათ ჩემის „ჩინ-ეპოლეტებისა“, ახლაც ნამდვილი უგვარო და უგვანო ვარ!..

ცხრა წლის არ ვიქნებოდი, მზარეულად რომ მიმაბარეს მეხაშეს; თოთხმეტის წლისა რომ შევიქენი, მზარეულობა მშვენივრად შევისწავლე—ჩინებულად ვაკეთებდი: ხაშს, არტალას, შიგნეულს და ნივრის წნილს. ილ-ის იყო ვემზადებოდი სხვა საჭმელების გაკეთებაც შემესწავლა, მაგრამ ამ დროს პატარა უბედურება მეწია: ცოტაოდენს ხელ-ბრუნდობაში დამიჭირ ეს; გამაწვინეს და ზურგსა და მისს დაყოლებაზედ წკეპლებით ბებია-ჩემის—ზეხათენის სურათი დამიხატეს, მკრეს პანღური და გამომაგდეს... გაიგო საწყალმა ბებია-ჩემმა, ჩამოიჭრა, ერთხანს ხელი მისვა ალერსით და შემდეგ „განათლების მისაღებად“ ნასალდათარს მიკიტას მიმაბარა. მიკიტა დაჰპირდა ზეხათენს, რომ მელას ისე გავანათლებ, რომ ფილოსოფოსად გამოვიყვანო; მე არა მესმოდა-რა, როგორც ახლა არა მესმის-რა, და ბებია-ჩემმაკი დაიჯერა, გარდასწყვიტა, რომ მე ქვეყანაზედ პირველ კაცად შევიქნებოდი..

პირველად ვერაფრად მოვრიგდით მე და მიკიტა: იმან ქართული არ იცოდა და მე—რუსული... სანამდის ცოტ-ცოტათ შევითვისებდი მისს უბედურს ლაპარაკს—არც რუსულ „დარაბანცს“ მოხვედრია იმოდენი, რამდენიც თქვენს უმორჩილესს მონას მოხვდა. მაგრამ ვიფიქრე: ასე სჯობია; როცა დიდი კაცი შევიქნები და კიდევ ზევით ასაწევად, უფროსთა საამოდ, ყველას უსამართლოდ და უმართებულოდ მოვეპყრობი, მაშინ უთუოდ გვერდებს დამიზელენ და შეჩვეული რომ ვიქნები—იოლად გამოვალ-მეთქი... ეხლა რომ ვაკვირდები—ეს მოსაზრება ნამდვილი და ჭკვიანი მოსაზრება იყო...

თავ-პირის მტვრევას არაფრად არ ვაგდებდი, მაგრამ შიშისა და წყლის ზიდვამ საქმე გამიჭირა, ბედის-წერა მაგმობინა: არც ერთს თავრიზელს ვირს იმდენჯერ საპალნე არ ჩამოეტანა, რამდენჯერაც მე,—მაგრამ ჩემმა არეულმა სამგვარმა ბუნებამ ამატანინა ვირობაც...

ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება... გვარიანად დავმუტრუკდი მიკიტას სახლში, რუსული შევისწავლე... ვიქნებოდი კაი ოცის წლისა, როდესაც მიკიტამ ტლეკვა გაადინა—თქვენი ჭირი წაიღო და მამა მისს „ტრახ ვიმს“ „ლაპორტი“ წაუღო... გამითენდა აღდგომა! ჩავიცვი მისი ძველი სერთუკი, მისი ნალიანი, შეუღებავი ჩექმები, «კიზიროკ» გაბზეკილი ქუდი, სხვა მივყიდ-მოვყიდე ყველაფერი, მისის სულის მოსახსენებლად ერთი კარგად გამოვთვერი არაყით, გამოვიყუყე ნივრიანის ხაშით და მეორე დღეს ვქუსლე აღმოსავლეთისაკენ...

დავუდექი მოჯამაგირედ ერთს ფოსტის უფროსს. შევატყე, რომ მოვეწონე. ვთქვი: აბა, მელა, ახლა გმართებს მელობა-თქო, გავძვერი, და გამოვძვერი, გავშპი და გამოვშპი და შიგ „რაზნოშჩიკობაში“ ამოვყავი თავი!.. წარიხინდა ჩემი ბედის ურემი!.. მალე წერილების ხსნას გავეჩვიე, საიდუმლოები ამოვიკითხე, გავიგე, გარდავეცი და შევატყობინე კუთვნილებისამებრ—ერთის სიტყვით, საჭირო კაცი შევიქენი ქვეყნისათვის. შემატყეს ნიჭი, ნიჭი, სასარგებლო და სასახელო, მიჯლუგუნეს, მიჯლუგუნეს და „აკალოდოჩნიკობამდის“ მიმაჯლუგუნეს...

ის იყო და ის—წაველი და წაველ!.. რაღა ბევრი განვაგრძო—მელაძაღლობამ მიშველა, დიდი კაცი შევიქენი, დიდკაცობას საშუალების მოპოების სიდიადეც მოჰყვა და სახლები ისე გავახშირე, როგორც შემოდგომის სოკოები... ამ დროს ჩემმა ბედნიერების მამალმა ხელ-მეორედ იყივლა: ერთს უპატრონო ქვეყანაში ერთი სულელი ბატონი დანიშნეს... ვნახე—მნახა; ვუნავარდე—მომიწონა, თაყვანი ვეცი—გაეხარდა!.. კუკუ! ერთის თვის უკან „პოლიცმეისტერობა“ მომაჩეჩა!.. ეხლა დედა ჩემის—სიკლიკიტეს—სიზმარი! ახდა, მაგრამ ისიც ახლა, რომ ჩემს გვერდებს ერთი ორჯერ რახა-რუხი გახვდა...

მაგრამ ამ ბოლო დროს ცუდს გუნებაზედა ვარ: სიზმრებმა შემაწუხეს, შემაშინეს... ეს სულ მისი ბრალია, რომ ყველა მოვიმდურე, ავაჯანყე, დავაბეზღე, ყველას ვუღალატე, არვინ არ გავიტანე და ამას რომ არ დავჯერდი,—ამა ქვეყნის „დიდთაც“ შევექიშპე, შევებრძოლე...

წუხელის კიდევ საშინელი სიზმარი ვნახე: ვითომ მე მინისტრობა მომცეს და „ჯინჯილ-ეპოლეტებით“ მომკაზმეს; სულ ოქროთი და თვალ-მარგალიტით მქონდა ფეხები და ხელები შეჭედილი... უეცრად ვითომ ერთი მშვენიერი, ჩემთვის საკუთრად მოგონილი „ორდენი“ მომივიდა ლენტით; მომივიდა, მაგრამ იმან გამაკვირვა, რომ გულზედ-კი არა, ზურგს ქვემოდ დამკიდეს და მომილოცეს... „ორდენი“ საშინელი ცივი იყო, დამაჟრიალა ტანში... არ ვიცოდი გამხარებოდა, თუ მწყენოდა; ავშფოთდი და ამ დროს გამომეღვიძა...

ავდექი თუ არა, მაშინათვე მკითხავთ მივაშურე. ერთმა ასე ამიხსნა სიზმარი: მინისტრობა იმას ნიშნავს,

---

იმყოფება პირველში რობერტთან. მესამე მოქმედების დროს გულწრფელად აღიარებს მონანიების სურვილს, მხოლოდ შემდეგში-კი, როდესაც, მისის აზრით, უბრალოთ გასართობად მასკარადში წასვლის ნებას არ აძლევენ, თავისს ჯიუტობასა და წამხდარს ხასიათს იჩენს. მესამე მოქმედების მეთერთმეტე მოვლენაში იგი მონაწილეობას არ იღებს, რადგან მხოლოდ თავისს ტანისამოსშია გართული.

ავგუსტა. დიდად ხარბი, ეშმაკი და ქვეშ-ქვეშა დედაკაცია.

—

პირველი მოქმედება.

მოხუც ხეინეკების ოთახია, უბრალოდ მოწყობილი, გახუნებულის ავეჯით. რამდენიმე ძვირფას ნივთეულობაც ურევია—ორი სავარძელი, აბრეშუმ-გადაკრული და ტილოთი გადაფარებული, და დიდი სარკე, ოქროს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული. კამოდსა და კედელზედ გავლებულს ფიცრებზედ ათასი რაგინდარა აწყვია. საზოგადოებისაგან მარჯვნივ დივანი სდგას და სტოლი, რომელზედაც ყავის იარაღი აწყვია. მარცხნივ უბრალო სამუშაო დაზგა სდგას, წებოთი სავსე ქოთანი, სხვილი ქაღალდები აწყვია და რამდენიმე მომზადებული ქაღალდის ყუთი დევს. თუმცა ღარიბად არის მომართული ოთახი, მაგრამ მაინც სავსეა ათასის წვრილმანეულობით, კედლებზედ უბრალო სურათებია ჩამოკიდებული, ფიცრებზედ ძველი ფაიფურის ფინჯნები და ლამბაქებია ჩამწკრივებული.

I

ხეინეკე-დედა (დიდის გულ-მოდგინებით ალაგებს ოთახს) და გებენსტრეიტი.

გებენსტრეიტი. (კარებიდგან გამოდის მარჯვნივ) მაშ მართალია? თქვენი შვილი ჩამოვიდა?

ხეინეკე. სსუ, სუუ! თუ ღმერთი გწამთ დაჩუმდით! სძინავს...

გებენსტ. იქა? ალმას ქოხში?

ხეინეკე. ჰო, იქ არის! აღარ ვიცი რა გავაკეთო და რა არა, ისე ვარ სიხარულით გამოჩერჩეტებული! (სავარძელზედ ჩამოჯდება).

გებენსტრ. ბატონებისას იციან ეს ამბავი?

ხეინეკე. როგორ არა, თითონვე გვითხრა—მოახსენეთო. უამისოდაც არ შეიძლებოდა, მაინც დღეს მაგისი უფროსები არიან. დღეს აპირებს სადარბაზოდ წასვლას.

გებენსტრ. დიდხანს იარა აქეთ-იქით?

ხეინეკე. შვიდი, რვა, ცხრა წელიწად ნახევარი. აი ამდენი ხანია ჩემს შვილს მოშორებული ვიყავი. (სტირის).

გებენსტრ. მერე, მაშინვე იცანით, ქალო?

ხეინეკე. რა სათქმელია! გუშინ საღამოს, ასე რვა საათზედ... ჩემი ვაჟკაცი ცოტა შექეიფიანებული შემოვიდა, მე-კი აქვე ვიყავ ჩამომჯდარი და ბლმას იუბკას ვაკერებდი... მერე რომ იცოდეთ, რამდენს თეთრეულსა სცვეთავს.... უცბად კარების რაკუნი შემომესმა... მივიხედე.... ვნახოთ, ვიღაც კაცი შემოვიდა... ვიღაც კაცი-კი არა, ბატონი, ნამდვილს კეთილშობილსა ჰგავდა, ბეწვიანი პალტო ეხურა,—აი, მანდა ჰკიდია, ნახეთ ერთი რა ბეწვია-და! მეც ის ვიფიქრე, ჩემი ქალის ნაცნობი იქმნება მეთქი, ვინმე კეთილშობილთაგანი, ჩვენის ბატონის შვილის მეგობარი.

გებენსტ. მერე, ქალო?

ხეინეკე. ისინი ხომ უკადრისანი არ არიან, ხშირად დაგვხედავენ ხოლმე, ჩვენთან, ღარიბებთან სალაპარაკოდ მოდიან. მეც ეს ვიფიქრე, მაგრამ იმან-კი ერთბაშად პალტო და ქუდი გადაყარა, ჩემს წინ დაემხო და შესძახა: „დედავ, მამაჩემო, თქვენი შვილი ვარ, ნუთუ ველარ მიცანითო“! ისე გამეხარდა, ისე ავიტაცე, ნეტა ან-კი როგორ გავუძელი ამ სიხარულს (სტირის).

გებენსტრ. რას ამბობ, ქა, განა სიხარულით კაცის სიკვდილი თქმულა სადმე. ესეც-კი არის სათქმელი, რომ ღამე ადამიანს ყველა კატა ჭრელად ეჩვენება, იქნება...

ხეინეკე. არა, ჩემი შვილი მართლაც მშვენიერი ვაჟკაცია, კეთილშობილი.

გებენსტრ. ვითომ კეთილშობილიც არის. ჰო, თუ მართლა იმდენი ქვეყნები მოუვლია და აბრეშუმსა და ხავერდშია გამოწყობილი...

ხეინეკე. ეგ არაფერია, აბრეშუმი არც ჩვენ გვაკლია. (სავარძლისაკენ მიუთითებს).

გებენსტრ. (დაიბრიცება) ე მაგას იკადრებს-კი!

ხეინეკე. რატომაც არ უნდა იკადროს! ღედის ნაამაგევი ყველაფერს უნდა ერჩივნოს. ქა, ლაპარაკში გავერთე და საქმე-კი სულ დამავიწყდა... ეს ჩემი ბებერი რაღა მექნა? ხომ არ გინახავთ? სად ეშმაკშია ნეტა, ი კოჰლ-ფარუხა?

გებენსტრ. აი აქვე იდგა, კარწინ, თოვლში, მზეზედ და უშველებელი ქაღალდი ეჭირა. ვაშრობო, ასე სთქვა.

ხეინეკე. დეე, თავი გაირთოს. მთელი ღამე მოუნდა საცოდავი მაგ ქაღალდს, სულ ერთთავად რაღაებსაც აკრობდა და აკოწიწებდა. ბრც-კი მძინებია სიხარულით.

II

ისინივე და ხეინეკე-მამა.

(კოჭლობით შემოდის და ხელში უშველებელი სქელი ქაღალდი უჭირავს).

ხეინეკე. (აჩვენებს სქელის ქაღალდის წარწერას) „მშვიდობა, შვილო მოსვლასა შენსა მშობელს ოჯახში“. როგორია? კარგად არ არის მოფიქრებული?

დედა. აი სწორედ იმ მიზანსა ჰგავს, ჯარის-კაცები რომ ესვრიან ხოლმე და სროლასა სწავლობენ.

ხეინეკე. მართალია, მაგრამ შიგ

რომ შვილი შეგეძინება; ოქრო და ვერცხლი ღვთისა და ხელმწიფის მოწყალებას და „ცივი ორდენი“ იმას, რომ უთუოდ საბანი გარდაგხდია და ხერხემალზედ სიგრილე დაგყოლიაო... მეორემ ასე მითხრა: მინისტრობა — გაბრიღადებასა და ციხეს ნიშნავს; ოქრო და ვერცხლი იმას, რომ სადმე, მოსარიდებელს ალაგას ჩავარდები და „ცივი ორდენი“ — იმას მოასწავებს, რომ ცხელი პანღური მოგხვდებაო!.. საუბედუროდ ჩემდა, იქნება ეს უკანასკნელი მართალი იყოს — ეს არ ვიცი, მაგრამ ჩემი ბიოგრაფია-კი ნამდვილად ეს არის“...

—

გარდავიკითხე თუ არა ეს, დავბრუნდი სახლისაკენ; წინ ჩემი მეგობარი ვანო შემომხვდა.

— წაიკითხე, კაცო, „კვალის“ №-ში წერილი მესამე დასის ერთ-ერთის მოციქულისა?

— არა, მივუგე, რა სწერია? უთუოდ კიდევ თავიანთის უარსებო დასის პროგრამა იქნება ხელ-მეორედ აღნიშნული და ხელ-მეორედვე გაუგებრად, აბნეულად, უაზროდ და უნაყოფოდ!.. ანუ უთუოდ საცოდავი მარქსი ხელ-მეორედ ჯვარზედ აცვეს: ალაპარაკებენ რაც არ უფიქრნია თავისს დღეში, არ ულაპარაკნია; აზრებენ, რის მოსაზრებას სოლოლასაც არ შეჰფერის; ამოძღვრებენ იმგვარად, როგორი მოძღვრებაც შეგიძლიანთ მოისმინოთ პავლოვსკის საავადმყოფოში!..

არა! ვერ ახსენი ამოცანა... ეგ ხომ ყველაფერი აგრეა, მაგრამ დღეს ერთი მესამე დასისტი სწერს, რომ „ივერია“ ასე ნუ ილანძღებაო... ხა, ხა, ხა!..

— ჰო, ეს უთუოდ lapsus linguae იქნება. უთუოდ უნდოდა ეთქვა, ან „კვალი“, ან „მწყემსი“, სასულიერო „მწყემსი“ და „ივერიის“ მჭვალმა „ივერიის“ სახელი წამოაკვნესა?

— კაცო ზედაც ასე უმატებს: „სხვა თუ არა, მე მაინც შემიბრალონ, „ივერიის“ ფასად წელიწადში 10 მან. ვიხდიო.

-- შესაბრალისია, ჭეშმარიტად, მაგრამ არა იმ მიზეზით, რომელიც თითონ მოჰყავს, არამედ სხვა, უფრო ძირითადის მიზეზის გამო, რომელიც ხან-და-ხან ციებ-ცხელების შედეგია... ხომ გაგიგონია:

„მე არას დროს მითხოვნია
ჩემი ვარდის ჩამოკრეფა,
თუ გიჩხვლიტა — დაიწყევლე
გამომხმარი შენი კეფა!“

— მაინც რომ ვერ დარწმუნდნენ, რომ არავითარი ნიადაგი, არავითარი საფუძველი, არავითარი ახალი იდეალი, აზრი, საგანი, ცვლილება მათ არ შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში და რომ მესამე დასი არ არსებობს!.. სთქვა გაჯავრებულმა ვანომ.

— რატომ არა? დავეკითხე მე. თუ-კი მეცნიერებამ მესამე სქესი აღმოაჩინა, „კვალი“ მესამე დასს როგორ ვეღარ აღმოაჩენდა?

— როგორ? ის ხომ პატალოგიური მოვლენაა?

— დიაღ, და მესამე დასი პოტოლოგიურის ანალოგიური მოვლენაა...

ამგვარის მუსაიფით დავშორდით ერთმანეთს... მივედი სახლში თუ არა, შედეგი ლექსები დამხვდა; ნაცნობებს გამოეგზავნათ ჩონგურზედ დასამღერებლად:

I

„გუშინ ვიყავ მაწანწალა,
დღეს-კი — ჯინჯილებიანი,
მრწამს — ყოფილა ბრმა, სულელი
ბედ-იღბალი ჟინიანი!

—

დღეს ოქროებს ვატრიალებ,
წინ არ მქონდა არც პურიო,
მაგრამ ვსწუხვარ — ვაჰ, თუ მალე
მითავაზონ პანღურიო!..“

II

„მეც ავყევი ფეხის ხმასა,
მივეკედლე უცნობს რაზმსო,
„კვალსა“ ვსახავ იდეალად,
მრწამსად „მწყემსის“ ხაშმს და ბრაზსო;

—

სათრევად და საგინებლად
გამოვსახე „ივერია“,
მისი მჭვალი სულს მიხუთავს,
მცირე ტვინი ამერია!“

III

„ღმერთო! ცრემლით შევღაღადებ
შენს დიდებას უაღრესსო,
რომ მოგვასწარ „მესამე დასს“
და დიდებულს მისს მოძღვრებსო!

—

ღმერთო! აწი ნუ მოგვასწრებ
ე მაგაზედ უარესსო
და მაგათსას მალე ვნახავ
სულ ამოფხვრილს ძირს და ფესვსო“!..

ავიღე ჩონგური და ამ ლექსების ღიღინით გავატარე საღამო...

შროშანი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

შემოდგომაზედ სახელმწიფო საბჭო საბოლოოდ განიხილავს პროექტს, რომლითაც განზრახულია ემერიტალურის კასსის დაარსება საერო განათლების სამინისტროს სასწავლებელთა მოსწავლეთათვის.

—

გაზეთების სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით ამ მოკლე ხანში შეუდგებიან $^1/_2$ და $^1/_4$ კაპეიკიანების მოჭრას.

—

მოსკოვის ხელოსანთა წრეს ჩინებული საქმე განუზრახავს: მათ ჰსურთ დააარსონ ხელოსანთა საურთიერთო ნდობის ბანკი, რომლის ოპერაციების შორის იქნება აგრეთვე სესხის აცემა ხელოსანთა ნაწარმოების გირაოთი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

დიდად საყურადღებოა ანუჩინის მიერ „რუს. სტარინა“-ში მოთხრობილი ეპიზოდები მოწოდებისა, რომლითაც იმპერატორმა ალექსანდრე II მ მიჰმართა ბულგარელებს:

პროკლამაციის პროექტი თავადმა ჩერკასსკიმ შეადგინა. შტაბმა წინადადება წარადგინა, პროკლამაცია გარეშე საქმეთა სამინისტროსათვის წარედგინათ განსახილველად და ამ რიგად იგი გაგზავნილ იქმნა პეტერბურგში, სადაც აზიის საქმეთა დეპარტამენტში ისე გადააკეთეს პროკლამაციის ტექსტი, რომ სრულიად გაუგებარი გახადეს და გადაამახინჯეს აზრი სხვა-და-სხვა სარედაქციო ცვლილების შეტანით. გარეშე საქმეთა სამინისტროს შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი პროკლამაციის შესახებ, მაგრამ სამინისტრომ არავითარი აზრი არ გამოსთქვა, ხოლო გაუგებარია ის გარემოება, რად იკისრა სამინისტრომ პროკლამაციის ენის შემუშავება, რომელიც ისე მცირედ გასაგები იყო მისთვის და როდესაც საქმე შეეხებოდა რუსულს ენაზედ დაწერილს საბუთის ქაღალდს, იმ ენაზედ, რომელიც წარსულ მეფობამდის ამ უწყებაში მიღებული იყო.

ეს შეცვლილი ტექსტი პროკლამაციისა წარუდგინეს მთავარ-მართებელს პლოეშტში იმ დროს, როდესაც იქ თვით იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიბრძანდა. თავადი ჩერკასსკი უკმაყოფილო იყო ამ ცვლილებით და გარდასწყვიტა პროკლამაციის ტექსტი ისევ აღედგინა და მთავარ-მართებლის პროკლამაციის ნაცვლად იგი თვით ხელმწიფის მოწოდებათ გარდაექმნა. როდესაც თავადმა ხელმწიფე ინახულა, მოახსენა მას თავისი მოსაზრება, ხოლო ხელმწიფის მიერ კერძო რჩევაზედ მოწონებულ იქმნა თავადის ჩერკასსკის ტექსტი:

რჩევაზედ კანცლერს თავადს გორჩაკოვს, ეგონა-რა რომ პროკლამაცია გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან გასწორებული როგორც იყო, ისე დარჩაო, სთქვა: „აი ეხლა კარგია პროკლამაცია“, მაგრამ ამაზედ შენიშნა ნ. პ. იგნატიევმა: „თქვენ, თქვენო ბრწყინვალებავ, სცდებით, წაკითხულს პროკლამაციაში ერთი სიტყვაც აღარ არის თქვენი; თქვენგან დიწერილს პროკლამაციაში კონსტიტუციაზედა და კიდევ სხვა რაღაზედაც იყო მოხსენებული და ყველა ეს გამოუტოვებიათო“.

—

„მოსკოვ. ვედომ.“-ის კორესპონდენტი იწერება, რომ ბევრს იმედი აქვს — სულთანი ტახტზედ ასვლის დღესასწაულობის დღეს აასრულებს ყოველისფერს, რასაც უცხო სახელმწიფონი სთხოვენ სომხეთში რეფორმების მოხდენის შესახებაო. ეს იმედი ტყუილიაო: სულთანი არაფრის აღსრულებას არ ფიქრობს. გარდაწყვეტილია შაქირ-ფაშის მთავარ-კომისარად დანიშვნა. შაქირ-ფაშა საგანგებო უფლებით იქნება აღჭურვილი, მაგრამ რას მოასწავებს სომხებისთვის ეს დანიშვნა — ეს ბუღუსით არის მოცულიო! თუ ევროპის სახელმწიფონი არ დაკმაყოფილდებიან იმითი, რასაც სულთანი მოახდენს, სულთანი ამჯობინებს ევროპას გაუწიოს წინააღმდეგობა, ვიდრე მტრად გადიკიდოს ყველა მაჰმადიანნიო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ახალის სამინისტროს გარეშე პოლიტიკა თან-და-თან ძლიერდება. ინდოეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვარზედ არის პროვინცია ჩიტრალი, რომელიც ამას წინად ინგლისის სამხედრო ექსპედიციამ დაიპყრო. როზბერის სამინისტრო შეუშინდა ბევრს ხარჯს და ხსენებულს პროვინციას თავი დაანება, თუმცა სტრატეგიული მოსაზრება ჩიტრალის დაჭერას თხოულობდა. სოლსბერს ახლა განკარგულება მოუხდენია, რომ ჩიტრალიდგან ჯარები არ გაიდნენ და გარდაუწყვეტია რამდენიმე ციხე-სიმაგრეების აგება, რაც არაფრად ეჭაშნიკათ „ნოვ. ვრ.-“ს და „მოსკოვ. ვედომ.-“ს.

—

**იაპონია.** იაპონია მეტად მეგობრულად უყურებს ახლა ინგლისს და იმედი აქვს, რომ გაჭირვების დროს ინგლისი მეგობრობას გაუწევს. იაპონელების ფიქრით, ჯერ ომი არ დასრულებულა და ამიტომ დიდს მზადებაში არიან. უწინ განზრახული იყო, რომ ომიდგან დაბრუნებულს ჯარებს, ხალხი და მთავრობა დიდის ამბით მიეგებება, მაგრამ ახლა ეს განზრახვა მიატოვეს, რადგანაც მხიარულება და დღესასწაული მაშინ გვეკუთვნისო, როდესაც მაგიერს გარდავუხდით მათ, ვინც ხელი შეგვიშალა უკანასკნელის ომის დროსაო. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ფლოტზედ და გარდაწყვეტილია ახალის ჯავშნიანის გემების შეკვეთა ინგლისისთვის. პარლამენტის მომავალი სხდომებიც მოუნდება იმ საკითხების გარჩევას, რომელნიც ეხებიან იაპონიის სამხედრო ძალების გაძლიერებას. პარლამენტმაც უმთავრესი ყურადღება ფლოტს უნდა მიაქციოს, რათა იაპონიისა და რუსეთის საზღვაო ძალა გათანასწორდეს.

—

**ისპანია.** კუნძულ კუბიდგან იტყობინებიან: აჯანყებულნი თავს დაესხნენ მანიკარაგუასთან ისპანიის ჯარს და ძლიერ დაამარცხეს. მთავ-

---

შუა ადგილას მამის გულია ჩაჰდეული. აბა ერთი მიყურე, დედაკაცო! (ჩაქუჩით სკამჰედ ადის რის კაი-ვაგ ლასათ, რომ ქაღალდი კედელზედ მიაკრას).

დედა. კარგია, ჰო, ხმა ჩაწყვიტე!

გებენსტრ. მერე, ნეტა ვიცოდე, საიდგან გახდა თქვენი შვილი განათლებული და კეთილშობილი? თქვენგან ხომ არ გამოჰყვებოდა ეს სიკეთე?

დედა. მაგას რაღა თქმა უნდა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი, ჩემო თვალის სინათლევ: ამ 17 წლის წინად ჩვენს ბატონს სოვდაგრობის ვეზირის ღირსება მოუვიდა; ამის გამო დიდი ლხინი და მეჯლისი გადაიხადეს, ჩირაღდნები იყო ანთებული, შუშხუნებს უშვებდნენ, ღვინო და ლუდი ბოჩკებით გამოაგორეს ქარხანაში მომუშავეებისათვის. ჩემი ქმარიც იქ იყო, ძალიან გადაეკრა, ფეხზედ ძლივს იდგა. — კაცო, აგრე ნუ არახუნებ! — ესეც-კი სათქმელია, რატომ არ უნდა დაელია, როცა ყველაფერი მუქთი იყო. სტუმრები რომ დაიშალნენ, ჩემი ბებერი ვიღასიც ეტლს მოჰყვა ქვეშ და ეტლმა ხელსა და ფეხზედ გადაუარა.

ხეინეკე. მერე როგორ! ხუმრობა საქმე-კი არ იყო! (უსტვენს).

დედა. ნუ უხტვენ! გაიგეს ეს ბატონებმა და დაიწყეს გამოკითხვა და გამოძიება, ვინ არის, სადაური, როგორა სცხოვრებსო. იმ დროს სიხარულშიაც იყვნენ და ისე გაგულკეთილდნენ, რომ დაგვპირდნენ, თქვენთვისაც ვიზრუნებთ, უფროსს შვილს სასწავლებელში მივიცემთ და კაცად გამოგიყვანთო.

გებენსტრ. მერე, შეასრულეს-კი თავისი დაპირება?

ხეინეკე. მამა მიცხონდება იმათი, როგორ არა?

დედა. ძნელი სათქმელია! ჩვენ აი ეს ქოხი დაგვითმეს და ჯერ არ დაუთხოვნივართ. ჩვენი შვილი-კი სასწავლებელში მისცეს, იქ მიიღო განათლება და ცოდნაც შეიძინა. უქმე და დღესასწაულს დღეებში, როდესაც სახლში მოდიოდა, ბატონებს თავისას მიჰყავდათ და შოკოლადს ასმევდნენ ხოლმე, ბატონის ქალიშვილთან ათამაშებდნენ. ვაჟიშვილი მაშინ ძიძას ეჭირა ხელში.

გებენსტრ. ჩანს თქვენს ვაჟს ქალზედ უფრო კარგი ბედი ჰხვედრია?

დედა. (ნელის ხმით) რას იზამთ, ეგეც ყისმათია?!.

გებენსტრ. ოღონდაც, რომ ყველაფერი ბედი და ყისმათია.

დედა. მერე სასწავლებლად გაჰგზავნეს, კანტორაში, უცხო ქვეყნის ვაჭრებთან საწარმოებლად. როდესაც ცხრამეტის წლისა შესრულდა, ინდოეთში გაამგზავრეს, იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც გამიგონია, დიდი სიცხე-პაპანაქება თურმე იცის... იქ ჩვენის ბატონის ძმისწული სცხოვრობს და ჩაისა და ყავის საქმეებს აწარმოებს.

ხეინეკე. (კიბიდგან) იქ ჩაი და ყავა ისე მოდის თურმე, როგორც ჩვენში ძირხვენა. (ჩამოდის კიბიდგან). აბა როგორია?

დედა. ჩვენი შვილიც იმის ხელქვეითი იყო. იქა სცხოვრობდა. უფალმა შეგვიბრალა და იქიდგანაც მშვიდობით დაგვიბრუნდა. დახე, ისევ ლაპარაკში გავერთე...

გებენსტრ. მივდივარ, მივდივარ, მშვიდობით. მაინც-კი ძალიანაც ნუ გაიბატონებთ. (იქით) ღმერთო, რა საძაგელი ხალხია! (გადის).

III

ხეინეკე-დედა და ხეინეკე-მამა.

დედა. ჰხედავ, კაცო, შურით როგორ უბრმავდებათ თვალები.

ხეინეკე. ბიჭოს! ე ქადა საიდგანღა გამოაჩინე?

დედა. ბატონების მზარეულმა დედაკაცმა მოიტანა, პატარა ქალბატონმა გამოგზავნა და მოკითხვა მოგახსენათო.

ხეინეკე. (ზურგს მიაქცევს) იმათზედ არაფერზედ გული არ მიმდის. ამ ჩვენის კეთილშობილ ვაჟბატონის აბრძანების დროც არის, საცაა შუადღე გავარდება (ქაღალდის წარწერას შესცქერის) „მშვიდობა, შვილო, მოსვლასა შენსა“...

დედა. კაცო, ამდგარა კიდეც.

ხეინეკე. ვინა?

დედა. ვინა-და, რობერტი!

ხეინეკე. (მიუთითებს) ვიცით და იმიტომაც მოვუმზადეთ.

დედა. გესმის, ინძრევა. (ყურს უგდებს) მგონი წაღებს იცვამს. არა, ვინ იფიქრებდა, თუ ის აქ იქნება და საცაა შემოვა კიდეც...

ხეინეკე. (ამაყად) მარტო ამას ვეტყვი, მშვიდობა მოსვლასა შენსა-მეთქი... კარგი საპონი მოუმზადე პირის დასაბანად, ალმა რომ ხმარობს ხოლმე?

დედა. (ყურს არ უგდებს) რამდენჯერ ფიქრით იმასთან ვყოფილვარ და გუნებაში გამიტარებია, ნეტა, როგორ არის-მეთქი, როგორა სცხოვრობს, კაცი ჭ მიებს ხომ არ ჩაუვარდა ხელში. ვინ წარმოიდგენდა, თუ ისევ სახლში დაბრუნდებოდა! კაცო, ხელები მოასვენე, ქიშმიშებიკი ნუ აალე სულ-ერთიანად.

ხეინეკე. რა ვქნა, თუ-კი მომწონს.

დედა. ჩუმად! მგონი მოდის, ყელსახვევი კიდევ შემოგხსნია. სირცხვილია, სხვა არ იყოს-რა, ეგრე აჩაჩული სიარული. (სავარძლის ზირებს ასწორებს).

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება).

რობის ჯარებიდგან მრავალნი გადადიან აჯანყებულთ მხარეზედ.

## წვრილი ამბავი

ერთ უცხოელ გაზეთში შემდეგი ცნობებია მოყვანილი შესახებ ჯარის კაცის ნაბიჯისა. რუსი—ჯარის კაცი, ერთს წამში 112—116 ნაბიჯს აკეთებს, გერმანელი—114, ავსტრიელი—115, ფრანგი და იტალიელი 120. რუსის ჯარის-კაცი 28 დიუიმს აკეთებს ერთს ნაბიჯზედ, გერმანელი—31½, ფრანგი, ავსტრიელი და იტალიელი 35½ დიუიმს; მაშასადამე, რუსის ჯარის-კაცი ერთს წამში გაივლის 227—268 ფუტს, ავსტრიელი 277 ფ., ფრანგი და იტალიელი 292 ფ., გერმანელი 295 ფუტს.

## სასამართლოს მატიანე.

20—23 ივლისს სამხედრო სასამართლომ განიხილა ერევანში საქმე ერევნის გუბერნიის მცხოვრებთა: აირო კრიკოროვისა, ხაჩატურ (იგივე ხეჩო) სარქსოვისა, სედრაქა კრიკოროვისა, ალიბეგ აირაპეტოვისა, ლევან აბრამოვისა, ოჰანეზ მარქაროვისა, მნაცაკან კარაპეტოვისა და არუთინა კარაპეტოვისა. პირველ ექვსს დაჰბრალდა შემდეგი: 5 იანვარს (ნათლიღებისა და შობის დღეს *) ისინი თავს დაესხნენ ელენოვკას ახლო კონდუქტორის პეტრე ტარნოვსკის სადგომს; მოჰკლეს მისი მოსამსახურე ლოზნევსკი და შემდეგ შეცვივდნენ სახლში; ტარნოვსკი მათ დახვდა ხანჯლით ხელში და დასჭრა ორი ავაზაკთაგანი; მაშინ დანარჩენი ოთხი შეშინდა, გაიქცნენ და დაჭრილნიც თან წაიყვანეს; ტარნოვსკი მძიმედ დაჭრილი დასტოვეს და ის მალე გარდაიცვალა. ტარნოვსკის გაძარცვა ნდომებოდათ, მაგრამ ტარნოვსკის მოულოდნელმა თავის დაცვამ ხელი შეუშალა მათ. ხოლო დანარჩენს ორს სომეხს—კარაპეტოვებს—ბრალდებოდათ ორის დამნაშავის დამალვა. გამოძიებამ და საქმის გარჩევამ დაამტკიცა ბრალდება, სასამართლომ ყველანი, გარდა აბრამოვისა, დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ხუთს კაცს ჩამოხრჩობა და კარაპეტოვებს 15 წლის კატორგა. განაჩენი წარედგინა მთავარ-მართებელს დასამტკიცებლად.

*) სომხები ორივე დღესასწაულს ერთად უქმობენ 6 იანვარს.

## წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთა შემოწირულებითაც დაარსდა დ. ჩოხატაურში უფასო წიგნთსაცავი. აი სია შემომწირველთა:

ივლიანე ლომინაძემ 3 მან., პ. სიმონიძემ 1 მ., დ. ბენაშვილმა 1 მ., მელიტონ გოგორიშვილმა 1 მ., ასალო ჩიტაიშვილმა 1 მ., გ. გოგუაძემ 50 კ., პ. მჭედლიშვილმა 1 მ., ნ. სახაშვილმა 3 მ., ალ. მახარაძემ 1 მ., თ. თოფურიამ 1 მ., მ. ჩ. 40 კ., ა. ორმოცაძემ 50 კაპ., მურადოვმა 50 კაპ., ლავრენტი ხუნწარიამ 1 მ., ოგოროდნიკოვმა 1 მ., ვლ. ოგიევსკიმ 2 მ., დ. გედევანიძემ 1 მ., სეფე მხეიძემ 1 მ., გიორგი მავრომულოვმა 3 მან. და რუსულ-ქართული წიგნები, მიხ. ზერმახსისოვმა 1 მ., კალუგაიანმა 50 კ., ი. კახიანმა 1 მ., წვერიანოვმა 50 კ., დ. დ. ქადიეშვილმა 1 მ., მ. ნიკოლაძემ 4 მანეთის ქართული წიგნები, ზარაჩამ 50 კ., დათიკო კვდაშკორიამ 1 მ., პ. ორაგველიძემ 1 მ., ექვთიმე ზერძენიშვილმა 5 მ. და რუსული წიგნი 1 მ., ნიკოლოზ დოდობერიძემ 5 მ., დ. ქ. 20 კაპ., იაკინთე ბოლქვაძემ 1 მ., პ. ქადიეშვილმა 1 მ., ირაკლი ერქომაშვილმა 50 კ., ი. მ. ყულენტმა 50 კაპ., ვინმემ 40 კ., ნ. გოგუაძემ 50 კ., კ. აგიაშვილმა 20 კ., ნ. როხუამ 50 კ., ს. იკეროზულოვმა 1 მ., ზ. კომახიძემ 1 მ., მ. გიგინეიშვილმა 1 მ., კონსტ. ყორდანიამ 1 მ., ს. ქარცივაძემ 1 მ., დ. კ. 20 კ., კონსტ. გოგიბერიძემ 2 მ., საბა ცომაიამ 1 მ., მაკილევიჩმა 1 მ., ბესარ. დუმბაძემ 50 კ., დ. კაჩეშვილმა 40 კ., ი. კალოიანმა 1 მ., კ. დუდუჩავამ 1 მ., ანტონ რამიშვილმა 5 მ., გიუნსბურგმა 50 კ., კასიან ნიკოლაძემ 15 მანეთის რუსულ ქართული გამოსადეგი წიგნები, ტარასი მამალაძემ 1 მ. და იაკობ ცინცაძემ 1 მ.

ბიბლიოთეკის ერთი დამაარსებელთაგანი
მიხ. ჯიბლაძე.

კომიტეტის წევრები:
დიმ. ერისთავი.
ა. ფიალკოვსკი.
ალ. ლორთქიფანიძე.
ბ. პეკარსკი.
პ. ერისთავი.
ალ. კალანდაძე.

1895 წ. აგვ. 13.

—

ვგზავნი 50 მან. და უმორჩილესად გთხოვ პატივცემულს რედაქციას ეს ფული გარდასცეს ქართველ დარიბ სტუდენტების დამხმარებელს საზოგადოებას. თუ ეს საზოგადოება ვერ დაარსდა, ვთხოვ პატივცემულს რედაქციას, ეს ფულიმთლად გარდაეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.

თ. მ. ვეზირიშვილი.

ქ. იგდირი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით სამ თუმან ნახევარს, რომელიც შევაგროვე ჩვენის ნიჭიერის მსახიობის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ ტფილისის ტრამვაის მსახურთა შორის. როგორც ჩემი, აგრეთვე ჩემის ამხანაგების სურვილი ის არის, რომ ეს ფული გაეგზავნოს ვ. მესხიშვილის სამშობლოში წამოსასვლელად.

მარკოზ სანებლიძე.

ტფილისი, 95 წ., 13 აგვისტო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ბრძანება სამხედრო უწყებისათვის 13 აგვისტოდამ: იმის გამო, რომ სამხედრო მინისტრი ჯერ ისევ ავად არის და გენერალ-ადიუტანტს ობრუჩევს უმოწყალესად ნება ებოძა ორის თვით საზღვარ-გარეთ წავიდეს, უმაღლესად ებრძანა დროებით სამხედრო მინისტრის თანამდებობა აასრულოს მისმა ამხანაგმა გენერალ-ფელდცეიხმეისტერმა გენერალ-ადიუტანტმა სოჟიანომ.

საჯაროდ გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება კონვენციების შესახებ, რომლებიც რუსეთსა და შვეციასა და რუსეთსა და ნორვეგიას შორის იქმნა შეკრული ფოსტის საურთიერთო დამოკიდებულებათა წესის დადგენისშესახებ.

**პარიჟი.** წერილში, რომელიც პირად ბანკირის როტშილდის სახელობაზედ იქმნა მიღებული, ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოჩნდა. წერილის გამხსნელი როტშილდის მსახური იადკოვიჩი მძიმედ იქმნა დაჭრილი.

**სოფია.** გაზეთ „სვობოდა“-ს რედაქტორს ორის თვით დაპატიმრება მიუსაჯეს პრინცის კობურგელის ცილის-წამებისათვის იმის გამო, რომ რედაქტორმა ზნეობრივი პასუხისმგებლობა აკისრა პრინცს სტამბულოვის მკვლელობაში.

**ვაშინგტონი.** თუ რომ გამართლდა ხმა, რომ თანამდებობიდგან დათხოვნილი ვიცე-მეფე ლიუ კომისარად იქმნა დანიშნული მისსიონერების დახოცვის საქმის გამოსაძიებლადაო,—ინგლისი და შეერთებული შტატები წინააღმდეგობას განაცხადებენო.

14 აგვისტო.

**ბელგრადი.** საჯაროდ იქმნა გამოცხადებული, რომ სერბიიდგან ავსტრი-უნგრეთში ღორების შემოტანა აღკრძალულია. პრესსა ამ აღკრძალვით სავაჭრო ხელშეკრულობას დარღვეულადა სთვლის და მაგიერის გადახდას თხოულობს. ბელგრადის ვაჭრები ურჩევენ ყველა სერბიელ ნეგოციანტებს ავსტრი-უნგრეთში დაკვეთილი სავაჭროები გააუქმონ და მთავრობასაც ურჩევენ ავსტრი-უნგრეთიდგან სერბიაში საქონლის შეტანა აღკრძალოს. „ოდეკის“ აზრით ავსტრი-უნგრეთთან სერბიის მხრივ ხელშეკრულობის დარღვევა სრულიად საბუთიანი იქნებაო. გაზეთი თხოულობს, სადავო საგნის გარდაწყვეტა საზოგადოების სამართალს მიენდოს.

**ბელგრადი.** ოხრიდიდგან ჩამოსული ორი ბულგარელი მასწავლებელი შეიპყრეს, რომელთაც სოფიის სარევოლიუციო კომიტეტთან დამოკიდებულებას აბრალებენ. დაჭერილებს უპოვნეს წერილები, რომელშიაც მოთხრობილია, რომ აჯანყებულთა დასები უნდა გაიგზავნენ მონასტრის ვილაიეტშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101½ — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | | — „ |


# განცხადებანი

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის
**ლექსები და წერილები.**
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.

**მამის ერთგული.**
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.

**მტრედი.**
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის.
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ ამა წლის 23 სა და 31 აგვისტოს დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკის შენობაში დანიშნულია საჯაროდ ვაჭრობა შემდეგის მამულებისა, რომლებიც წინა ვაჭრობით გაუსყიდველობისა გამო ამ წლის 9 აგვისტოს, ბანკს დარჩა:

ჩოლოყაშვილები თავ. რევაზ ალექსანდრეს ძე, ბიძინა ოთარის ძე და ელისაბედ დავითის ასული: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 720 დესეტ., ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, საავარაკო ახმეტაში, თავნი ვალი 7947 მან. 43 კაპ., შემ. გარდ. 339 მან. 20 კ. და სულ 8281 მან. 63 კაპ.

თავ. ანდრონიკოვები: ია და ზაზა დონიკეს ძენი: საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 518 დეს. 330 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, საავარაკო ზიარში, თავნი ვალი 12,451 მან. 96 კ., შემ. გარდ. 378 მან. 27 კ. და სულ 12830 მან. 23 კაპ.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გარდახდილ იქმნას ბანკის გირავნობის ფურცლებით მანეთზედ მანეთი მათის ნამდვილის ღირებულებისა, და აგრეთვე ბანკის თანხმობით შეიძლება ვალი მსყიდველზედ იქმნას გარდატანილი; ხოლო სავადო შესატანი და სხვა გარდასახადები უნდა წარდგენილ იქმნას ნაღდ ფულათ.

ვაჭრობა პირველის მამულისა მოხდება 23 აგვისტოს, ხოლო მეორისა 31 აგვისტოს. სიტყვა „შეიძლება“ სრულიად სარწმუნოდ არის ხმარებული. (3—6—1).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცამარიელისა . . . . . | „ | 15 |
| ხეთაგი . . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

**სითხე ბაღლინჯოებისა და ნესტის ჭიის წინააღმდეგ**
**კელერისა.**

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** ცნობილ ვაჭრებთან.

ეს სითხე უნდა წაუსვათ რითიმე ან ასხუროთ იმ ადგილას, სადაც ეს ჭიებია და მაშინვე გასწყვეტს და მათთან ერთად კვერცხებსაც; ასე რომ დიდ ხნობამდის ამ ადგილებში ხსენებული ჭიები აღარ გაჩნდება.

სითხეს არავითარი განსაკუთრებული ფერი არა აქვს, ხმარების დროს ავეჯეულობასა და კედლებზედ ლაქებს არ სტოვებს და ძალიან იაფადაც ღირს. (2—17—2)

**ტყავის აპრეტურა კელერისა**

ანუ ეგრედ წოდებული „ვაქსი ელვა“, გლიანცლაკ და სხ. ისყიდებიან ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

საუკეთესო საშუალებაა, რომ ტყავს შავი ფერი მიეცეს და არც სისველეს უშვებს.

ქალთა ტანსაცმელისათვის ხომ შეუდარებელი რამ არის, **არასოდეს არ აჭუჭყიანებს**, აახლებს და კარგად ინახავს სხვა-და-სხვა ტყავეულობას, როგორც საკვოიაჟებს (პორტმონებსაც), ცხენის სამკაულს, სამხედრო და ეტლთა იარაღსა და სხ. ფასი ძალიან მცირეა.

(2—18—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**